




# საქართველო

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

### საკრებულო



N 58  
29/06/2018

58-07-4-201806290908



### ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №58

2018 წლის 28 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრს“ (ს/კ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო უზუღრუქტის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონებები:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჯურულყველის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჯურულყველის მდებარე 2 807 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა ფართით - 413,5 კვ.მ. და N2 შენობა-ნაგებობა ფართით - 9 კვ.მ. (ს/კ 27.11.45.083);

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მამათის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ მამათში მდებარე N27.01.42.015 საკადასტრო კოდზე არსებული შენობა-ნაგებობის პირველი სართულიდან (რომლის საერთო ფართია - 488,6 კვ.მ.) 189 კვ.მ. ფართი, (N10-15,6 კვ.მ. ფართი; N11-18,4 კვ.მ. ფართი; N12 -12,5 კვ.მ. ფართი; N13- 33,6 კვ.მ. ფართი; N14-17,5 კვ.მ. ფართი; N15-13,8 კვ.მ. ფართი; N16-27,8 კვ.მ. ფართი; N17-24,9 კვ.მ ფართი; N18-24,9 კვ.მ. ფართი) მასზედ წილობრივად დამაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად.

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ნიგვზიანში მდებარე 2 715 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 215,13 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.14.48.020).

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ნინოშვილში მდებარე N27.12.41.004 საკადასტრო კოდზე არსებული შენობა-ნაგებობის პირველი სართულიდან (რომლის საერთო ფართია - 370.1 კვ.მ.) 208 კვ.მ. ფართი, (N8-62,5 კვ.მ. ფართი N9-33,4 კვ.მ. ფართი N10-61,5 კვ.მ. ფართი N11-17,2 კვ.მ. ფართი N12-7,9 კვ.მ. ფართი N13-25,5 კვ.მ. ფართი) მასზედ წილობრივად დამაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად.

ე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ შრომისუბანში მდებარე 3 000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 260,8 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.13.42.001).

ვ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აცანის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ აცანაში მდებარე 1336 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა ფართით 229.7 კვ.მ. და N2 შენობა-ნაგებობა ფართით 12.16 კვ.მ. (ს/კ 27.02.44.233).

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

